ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-41478607

"27" 01 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. №37–ში (საკ. კოდი №01.15.05.089.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2911013 31.10.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. №37–ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-დ" ფასადზე: „ბ-გ" მონაკვეთში შეცვლილია რელიეფის დახრა. ასევე შეცვლილია კარის ნახატი. აღნიშნულ კართან დამატებულია გარე კიბის საფეხური. „ა-გ" მონაკვეთში კედელში ფიქსირდება აირგამწოვი მილები.

„4-1" ფასადზე ეზოს მხრიდან: ცოკოლზე, სასინათლე ორმოდან მარცხნივ დამატებით მოწყობილია კედლის ნაწილი. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების და კარის ნახატი. გარე კიბესთან გაზრდილია ბაქნის სიგანე. +3.30 ნიშნულზე ვიტრაჟზე მოწყობილია გისოსი. „2-1" მონაკვეთში მოწყობილია ფრამუგა, აირგამწოვი მილი და კარადა საკომუნიკაციო მილებისთვის.

„4-1" ფასადზე ქუჩის მხრიდან: „4-3" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. აივნის ბოლოებში კაპიტალური ტიხრების ნაცვლად მოწყობილია კარბოლუქსის ფირფიტები. შეცვლილია სახურავის დახრა.

„1-4" ფასადზე ეზოს მხრიდან: +5.27 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა. ტერასაზე, „4-4" ღერძის გასწვრივ გაზრდილია კაპიტალური კედლის სიგანე. ასევე დამატებით მოწყობილია წყალსაწრეტი და საკომუნიკაციო მილები. ფასადზე აივნების მარცხენა ბოლოებში შეცვლილია ტიხრების მასალა, ხოლო მარჯვენა ბოლოებში დამატებით მოწყობილია გათბობის ქვაბები და კარადები. შეცვლილია ვიტრაჟების და სადარბაზოს გისოსების ნახატი.

„ა-ა"-„4-4" ღერძების კვეთასთან შეცვლილია კოლონის მდებარეობა. +5.27 ნიშნულზე, „ე-ე" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია საყრდენი სვეტი. +11.89 ნიშნულზე „ე-ვ" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის ფორმა.

პროექტის ხარვეზი: გეგმისა და ფასადის ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს. პროექტში მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული ფაქტურით.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „თბილისის ხედი"-ს, ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. №37–ში (საკ. კოდი №01.15.05.089.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №414786/07 21.11.2016წ. განცხადება.
№წ-414786/07 26.11.2016წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980158683130017

№16/4002 **27 / იანვარი / 2017 წ.**

შპს თბილისის ხედი. ალექსანდრე აბულაძე

საქართველო, ქ. თბილისის, კოჯრის ახალი გზა #7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #414786/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე